



საქართველო  
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია  
GEORGIA  
ZUGDIDI MUNICIPALITY CITY HALL

N 673  
19/02/2019

ზუგდიდი

673-02-4-201902191408



მერის ბრძანება

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებისთვის გასატარებელი ღონისძიებების კოორდინაციის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 16 იანვრის N148 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილების პირველი მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 16 იანვრის N148 ბრძანებაში „ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებისთვის გასატარებელი ღონისძიებების კოორდინაციის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ და სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:


- გიორგი შენგელია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი;
- ბესიკ ჭეჭია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - სამუშაო ჯგუფის წევრი;
- კახაბერ ფარცვანია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე - სამუშაო ჯგუფის წევრი;
- თენგიზ შანავა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი - სამუშაო ჯგუფის წევრი;
- მამუკა ლოგუა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის

სამსახურის უფროსის მოადგილე, ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

- რუსლან კილასონია - მერის მოადგილის თანაშემწე - შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - სამუშაო ჯგუფის წევრი;
- მაგდალინა თოდუა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ირაკლი ფიფია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე - სამუშაო ჯგუფის წევრი;
- მურთაზ ბოკუჩავა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოადგილე, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;
- აქსანა გუჩუა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი - სამუშაო ჯგუფის წევრი.

2. 2019 წლის 16 იანვრის N148 ბრძანების დანარჩენი ნაწილი დარჩეს უცვლელი.
3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 180-ე მუხლის პირველი ნაწილის და საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. ზუგდიდი, რ. ლალიძის ქ. N12).

გიორგი შენგელია



მერის მოვალეობის შემსრულებელი - მ.შ.